ჯოჯოხეთი დაფარულია ვნებებით, სამოთხე კი - უსიამოვნებებით

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჯოჯოხეთი დაფარულია ვნებებით, სამოთხე კი - უსიამოვნებებით».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

ალლაჰის მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ ჯოჯოხეთი გარშემორტყმულია იმ საქმეებით, რომლებიც ადამიანის სულს უყვარს, როგორიცაა აკრძალული მოქმედებები ან მოვალეობებში დაუდევრობა; თუ ადამიანი მისდევს საკუთარ ვნებებსა და სურვილებს ის ამის გამო იმსახურებს ცეცხლს, რაც შეეხება სამოთხეს, ის გარშემორტყმულია იმ საქმეებით, რომლებიც ადამიანს არ სიამოვნებს, როგორიცაა მუდმივი ერთგულება ვალდებულებების შესრულებაში, აკრძალული საქმეებისგან თავის შეკავება. თუ ადამიანი ამ სირთულეებს გადალახავს და იბრძოლებს საკუთარ ვნებებთან, ის იმსახურებს სამოთხეში შესვლას.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3702

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee